ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში
(აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის
მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში)
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის
წლიური ანგარიში

(2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 9 (ცხრა) განცხადება. მათ შორის მოთხოვნის შესაბამისად 3 (სამი) განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, 4 (ოთხი) შემთხვევაში კი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 1 (ერთი) შემთხვევაში მიღებულ იქნა უარის თქმის გადაწყვეტილება 1(ერთი) კი არ განეკუთვნებოდა უწყების კომპეტენციას. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში შემოსული განცხადებების საერთო რაოდენობიდან 6 (ექვსი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, 1 (ერთი) შემთხვევაში კი მოქალაქე, ხოლო 2 (ორი) მოთხოვნა შემოვიდა საჯარო დაწესებულებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შემოსული 6 (ექვსი) განცხადებიდან 2 (ორი) შემთხვევაში განმცხადებელი წარმოადგენდა ბეჭდურ მედიას.

ბ) 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 9 (ცხრა) განმცხადებელს ეცნობა წერილობით ათდღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

გ) 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე წერილობით მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

დ) სახელწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს განკარგულების საფუძველზე დადგენილი აქვს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნანა კაკაჩია.

ე). საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაცია ეყრდნობოდა ,,საქართველოს კონსტიტუციას“, ,,საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ვ) ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება აღნიშნულ პროგრამაში.

ზ) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი.

თ) ადმინისტრაციის მიერ ინფორმაციის გაცემის , აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ი) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.